დამტკიცებულია:
პარტნიორის მიერ
2015 წლის 29 სექტემბერს

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

წესდება

თბილისი 2015 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1.შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ წარმოადგენს «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილ იურიდიულ პირს.
1.2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ (შემდგომში -სეუ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
1.3. სეუ თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებების, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად;
1.4. სეუ-ს აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში და ბეჭედი.
1.5. სეუ-ს იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საგარეჯოს რაიონში, ს.პატარძეული.
1.6. სეუ-ს ელექტრონულიფოსტისმისამართია: info@seu.edu.ge

მუხლი 2. სახელწოდება

2.1. სეუ-ს სახელწოდებაა: შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ.

მუხლი 3. სეუ-ს მიზნებიდასაქმიანობისფორმები

3.1. სეუ-ს საქმიანობის ძირითადი მიზანია შექმნას თანამედროვე ტიპის საერთაშორისო სტანდარტის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
3.2. უზრუნველყოს სასწავლო ბაზის შექმნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე უმაღლესი განათლების მისაღებად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
3.3. მოამზადოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი უმაღლესი სტანდარტების მქონე სპეციალისტები.
3.4. სეუ-ს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით არ არის აკრძალული და რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება სეუ-ს მიზნებს და ინტერესებს;
3.5. სეუ ამწესდებით გათვალისწინებული მიზნების განსახორციელებლად:

ა) ქმნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას;
ბ) უზრუნველყოფს კვალიფიციური აკადემიური პერსონალით სასწავლო პროცესის მობილიზებას;
გ) ზრუნავს თავისი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
დ) ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შესაქმნელად;
ე) ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას;
ვ) უზრუნველყოფს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას.
ზ) თანამშრომლობს საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

მუხლი 4. სეუ-ს დამფუძნებლის წილობრივი მონაცემები და უფლება მოვალეობები

4.1. სეუ-ს დამფუძნებელი-პარტნიორია:
ა) გია კავთელიშვილი: დაბადებული: 02.05.1960.წ. პირადი ნომერი: 01012000597 მისამართი: თბილისი, მე-3 ჯავახეთის ქუჩა, კორპუსი 5, ბინა 67.

4.2.სეუ-ს დამფუძნებელი-პარტნიორის წილი კაპიტალში განისაზღვრა შემდეგნაირად:
ა) გია კავთელიშვილი, მისი წილი საწესდებო კაპიტალში შეადგენს– 100%-ს.

4.3. სეუ-ს დამფუძნებელი უფლებამოსილია:
4.3.1. მიიღოს მონაწილეობა სეუ-ს მართვაში;
4.3.2.მიიღოს სეუ-ს წლიური ანგარიშის ასლი და სეუ-ს ყველა პუბლიკაცია;
4.3.3. შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს სეუ-ს საბუღალტრო წიგნებს უშუალოდ ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით.
4.3.4.პერიოდულად აკონტროლოს სეუ-ს ხელმძღვანელობა;
4.4.4.შეამოწმოს და გაეცნოს სეუ-ს საბუღალტრო წიგნებს და ჩანაწერებს;
4.4.5. მიიღოს სეუ-ს საქმიანობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია წერილობითი ან ზეპირი ფორმით;
4.5. სეუ-ს დამფუძნებელი მოვალეა:
4.5.1. დაიცვას წესდების დებულებები და საქართველოს კანონმდებლობა.

მუხლი 5. სეუ-ს მართვა, მართვის ორგანოები

5.1. **სეუ-ს მართვის ორგანოებია:**
5.1.1 დამფუძნებელ-პარტნიორთა კრება;
5.1.2. რექტორი;

მუხლი 6. დამფუძნებელი და მისი უფლებამოვალეობა

6.1. სეუ-ს მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელ-პარტნიორთა კრება, რომელიც წარმართავს სეუ-ს საქმიანობას.
6.2. სეუ-ს დამფუძნებელ-პარტნიორთა კრება იღებს გადაწყვეტილებას შემდეგ საკითხებზე:
6.2.1. სეუ-სწესდების დამტკიცება, მასში ცვლილებების შეტანა;
6.2.2. სეუ-ს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის - რექტორის დანიშვნა და გათავისუფლება;
6.2.3. საქმიანობის პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა;
6.2.4. საქმიანობის დაწყება და შეწყვეტა;
6.2.5. ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
6.2.6. უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

6.2.7. სესხებისა და კრედიტების აღება;
6.2.8. პროკურის გაცემა და გაუქმება;
6.2.9. წლიური შედეგების დამტკიცება და შედეგების გამოყენება;
6.2.10. წლიური მოგების განაწილება.
6.2.11.წილთა შეძენა გასხვისება, ასევე, საწარმოთა შეძენა, გასხვისება და ლიკვიდაცია.

მუხლი 7. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

7.1. სეუ-სხელმძღვანელობს და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობს <u>რექტორი:</u> გია კავთელიშვილი: დაბადებული: 02.05.1960.წ. პირადი ნომერი:01012000597,მისამართი: თბილისი, მე-3 ჯავახეთის ქუჩა, კორპუსი 5, ბინა 67.

7.2. რექტორი მოქმედებს საქართველოს კანონების «უმაღლესი განათლებისა" და "მეწარმეთა შესახებ», დამფუძნებლ-პარტნიორთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად. პასუხისმგებელია სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო, კომერციული და სამეწარმეო საქმიანობის შედეგებზე;

7.3. წარმოადგენს სეუ-ს მესამე პირებთან ურთიერთობაში, რომლის დროსაც ის მოქმედებს ერთპიროვნულად მოქმედი კანონმდებლობისა და სეუ-სწესდების საფუძველზე;

7.4. გამოსცემს სეუ-ს საგანმანათლებლო და სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით სამართლებრივ აქტებს, ბრძანებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

7.5.გასცემს განსაზღვრული ფორმის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს;

7.6. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აფორმებს ხელშეკრულებებს სეუ-ს აკადემიურ პერსონალთან და სხვა თანამშრომლებთან, სტუდენტებთან;

7.7. დებს გარიგებებს, გასცემს მინდობილობებს, წყვეტს კანონმდებლობითა და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებს;

7.8.განკარგავს სეუ-ს ფინანსებსა და ქონებას დამფუძნებელთან შეთანხმებით;

7.9. ამყარებს საერთაშორისო სასწავლო, სამეცნიერო და კომერციულ კავშირებს;

7.10.ბრძანებით ამტკიცებს სეუ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ წესებს;

7.11. წარმართავს და ზედამხედველობს სეუ-ს მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს;

7.12. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი8. აღრიცხვა, ანგარიშგება, კონტროლი

8.1.სეუ აწარმოებს საბუღალტრო აღრიცხვას და ანგარიშგებას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. სამეწარმეო წელი სეუში იწყება კალენდარული წლის 01 იანვარს და მთავრდება იმავე კალენდარული წლის 31 დეკემბერს.

მუხლი 9. სეუ-ს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

9.1. სეუ წყვეტს საქმიანობას რეორგანიზაციის (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა) ან ლიკვიდაციის გზით.
9.2 სეუ-ს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი-პარტნიორი.
9.3. სეუ-ს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია ხორციელდება «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
9.4. სეუ-ს ლიკვიდაცია ითვლება დასრულებულად, ხოლო საქმიანობა შეწყვეტილად, სამეწარმეო რეესტრში სათანადო ჩანაწერის შეტანის შემდეგ.

მუხლი10.სხვა დებულებები

10.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის პარტნიორის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
10.2. წესდება წარმოადგენს სეუ-ს მთავარ სამართლებრივ დოკუმენტს, თუ წესდების რომელიმე დებულებამ ძალა დაკარგა ეს არ ვრცელდება სხვა დებულებებზე;
10.3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დამფუძნებელი-პარტნიორი: -------------------------------
გია კავთელიშვილი

რექტორი: -------------------------------
გია კავთელიშვილი

წარმომადგენელი ნანა მოსიაშვილი
პ/ნ 57001019335
ნ. მოს

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
შტამპი №489
თარიღი "30" ოქტომბერი 2015წ
გვ.რაოდენობა 5 (ხუთი) ხელმოწერა